მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აგვისტო (ელული) №9 (469) (5780) 2020

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

პრეზიდენტი ებრაულ თემს ლაილაშის ტურისტული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხთან დაკავშირებით შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა — სალომე ზურაბიშვილმა ლაილაშის ტურისტული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით ებრაულ თემთან სამუშაო შეხვედრები დაიწყო.

აღნიშნული ინიციატივით პრეზიდენტი ლეჩხუმში, სოფელ ლაილაშის სინაგოგის დათვალიერების შემდეგ გამოვიდა, რომელმაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ბიბლია - ლაილაშის ბიბლია შემოინახა და რომელიც დღეს კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

როგორც ცნობილია, ლაილაშში საუკუნეების განმავლობაში მძლავრი ებრაული თემი ცხოვრობდა, რასაც სინაგოგა და ებრაული სასაფლაოც მოწმობს.

პრეზიდენტი დღეს საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმს ეწვია და ებრაელი თემის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა, რომელზეც საქართველოში ებრაული სათვისტომოს წარმომადგენლებმა მზაობა გამოთქვეს ჩაერთონ ლაილაშის განვითარების პროცესში და თავისი წვლილი შეიტანონ ამ წამოწყებაში.

თიშა ბეავის გლოვის დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა — სალომე ზურაბიშვილმა თბილისში, ებრაელთა უძველეს სასაფლაოზე, გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგო.

მიხეილ მირილაშვილი: სუფთა სასმელი წყლის პრობლემის გადაწყვეტა რევოლუციური ტექნოლოგიების მეოხებით

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო) მონაცემებით უვარგისი სანიტარული წყალი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაავადებათა უმთავრესი მიზეზი გახლავთ. დღევანდელ სამყაროში სულ ცოტა ორი მილიარდი ადამიანი ფეკალიებით გაჭუჭყიანებულ წყალს მოიხმარს. ის კი მათ სასიკვდილო დაავადებებით: დიარიით, ქოლერით, მუცლის ტიფით, პოლიომელიტით ემუქრება. ამას გარდა, წყალმომარაგების სისტემა ყოველდღიურად აწყდება დაჭუჭყიანების, კლიმატის ცვლილების, დემოგრაფიული აფეთქების საფრთხეს.

არცერთი საზოგადოება, არცერთი დასახლება, აფრიკის სოფლებიდან მოყოლებული, ისეთი მეგაპოლისების ჩათვლით, როგორიცაა ნიუ-იორკი, ლონდონი, პეკინი არ გახლავთ დაზღვეული იმისაგან, რომ დადგება სუფთა წყლის უკმარისობის საშიშროების წინაშე — დღევანდელი კრიზისი რაოდენ საშინელიც არ უნდა იყოს, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდება. ჯმო გვაფრთხილებს: თუ დროულად არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, 2025 წლისათვის ნახევარი მსოფლიო სუფთა სასმელი წყლის დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება.

საბედნიეროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო და ყურადღებამისაქცევი ხედვა გააჩნია გამოჩენილ ბიზნესმენს მიხეილ მიხეილის-ძე მირილაშვილს, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკიდან — საქართველოდან გახლავთ და ახლა ისრაელში მოღვაწეობს.

და არა მხოლოდ ხედვა გააჩნია, პრობლემის გადაწყვეტის ტექნოლოგიასაც ფლობს — აკვირდება რა რამდენიმე დიდ კომპანიას და პარალელურ მოვალეობებსაც ასრულებს, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მისი უმთავრესი საზრუნავი მაინც Watergen-ია. Watergen გახლავთ ისრაელური კომპანია, რომელმაც შეიმუშავა რევოლუციური ტექნოლოგია ატმოსფერული წყლის გენერაციისა (AWG). უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მიხეილ მირილაშვილის კომპანიამ შეიმუშავა უნივერსალური წყაროდან — ჰაერიდან — სუფთა სასმელი წყლის მიღების ტექნოლოგია.

(იხ. მე-3 და მე-4 გვერდები)

მენახემ ბეგინი: „მუხლებაკანკალებული ებრაელი არ გეგონოთ!“



ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ისრაელის პრემიერ-მინისტრი მენახემ ბეგინი 1982 წლის 22 ივნისს აშშ სენატს ეწვია. სენატის უცხოეთის კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ბეგინს დაუპირისპირდა დემოკრატი სენატორი ჯო ბაიდენი. დაპირისპირება ისე გამწვავდა, რომ დემოკრატი სენატორი ისრაელის პრემიერ-მინისტრს დაემუქრა, აშშ დახმარებას შეგიწყვეტთო.ბაიდენი კი არაფრით არ მოელოდა, თუ ახლადშექმნილი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი ბეგინი ასეთ მოულოდნელ პასუხს გასცემდა, თანაც ესოდენ შეუპოვრად ილაპარაკებდა:

— ნუ მემუქრებით თქვენი დახმარების შეწყვეტით. ამაოდ ირჯებით — არაფერი გამოგივათ. მე მუხლებაკანკალებული ებრაელა არა ვარ.მე ვარ ამაყი ერის შვილი, რომელსაც ცივილიზაციის 3700 წლოვანი ისტორია აქვს. როცა ჩვენ გაზის საკნებსა და ღუმელებში ვიხოცებოდით, ჩვენს საშველად არავინ არ მოსულა.დასახმარებლად არც მაშინ მოსულხართ, როცა ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ვიბრძოდით. ჩვენ ეს ბრძოლა ძვირი დაგვიჯდა.ჩვენ ამისათვის სიცოცხლეს ვწირავდით. ჩვენ ჩვენს პრინციპებს არ გადავალთ. დავიცავთ მას.და თუ ეს აუცილებელი გახდება, თქვენი დახმარებითა, თუ მარტოდ დარჩენილები, მისთვის კვლავაც გავწირავთ თავს.

სენატორმა ბაიდენმა ბეგინის ასეთი შეუპოვრობის პასუხად, მაგიდას მუშტი დასცხო. ამაზე კი ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ამერიკელ სენატორს განუცხადა:

— ეგ მაგიდა იმისთვის არის, რომ მასზე წერდნენ და არა იმისთვის, რომ მას მუშტებს ურტყამდნენ. ნუ გვემუქრებით თქვენი დახმარების შეწყვეტით. ნუთუ მიგაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რახან დახმარებას გვიწევს, უფლება აქვს გვიბრძანოს რა და როგორ ვაკეთოთ? ჩვენ მადლობელი ვართ იმ დახმარებისათვის, რომელსაც გვიწევთ, მაგრამ არ უნდა გვემუქრებოდეთ.მე ამაყი ებრაელი ვარ — ზურგს სამი ათასი წლის კულტურა მიმაგრებს და გწადიათ, მე დამაფრთხოთ, დამემუქროთ? გთხოვთ ესეც დაიმახსოვროთ: არ გვსურს, რომ ჩვენს გამო თქვენი ჯარისკაცი იღუპებოდეს.

შეხვედრის დამთავრების შემდე გისრაელის პრემიერ-მინისტრთან აშშ სენატორი მოინიხანი მივიდა და მენახემ ბეგინს გულითადად მიულოცა ბაიდენისადმი საკადრისი პასუხის გაცემა.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

საქართველოს ებრაელთა სალოცავები

მოშე დანიელი (მოსე დანიელაშვილი)
ინჟინერ-მშენებელი,
მეცნიერებათა დოქტორი,
არიელის უნივერსიტეტის პროფესორი,
ისრაელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №1,2,3,6,7,8)

3. ვანის ებრაელთა სალოცავი

ვანი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდინარე სულორის (რიონის მარცხენა შენაკადი) ნაპირას, ზღვის დონიდან 60 მ, ქუთაისიდან 41კმ მანძილზე. ვანში ებრაელების დასახლება ქუთისში ებრაელების დასახლების პერიოდს განეკუთვნება. მე-19 საუკუნის შუახანებიდან მათი რიცხვი თანდათანობით მატულობდა: 1883წ.-131 ებრაელს ითვლიდა, 1911წ.-249. როდის ააშენეს პირველი სალოცავი მონაცემები არა გვაქვს, შემორჩენილია იმ სალოცავის აღწერილობა, რომელშიაც ლოცულობდა 1870 წ. ვანის ებრაელობა. იგი გარეგნულად საცხოვრებელ სახლს წააგავდა და თხელი ფიცრულისგან იყო აგებული (იქვე, ვანთან ახლოს მდებარე პოეზიის მეფე გალაკტიონ ტაბიძის მშობლიური სახლი გამახსენდა), კედლების გასწვრივ დაბალი სკამების რიგი იყო ჩაწყობილი. სალოცავის შუაში კი დაბალ სვეტებზე მდგარი თება ჰქონდათ. არონ ჰაკოდეში სალოცავის დასავლეთ მხარეზე ყოფილა მოთავსებული. ვანის ებრაელებმა მატერიალურად გაძლიერების პარალელურად 1892 წელს ახალი სალოცავი ააშენეს (ზოგი მონაცემებით 1911წ., რასაც არ გამოვრიცხავ, რადგან ამ თარიღს ჩემი ექსპედიციის მონაცემებიც ემთხვევა). ვანის სალოცავი ძალიან ჰგავს ქუთაისის დიდი სალოცავის შენობას, პრაქტიკულად ქუთაისის დიდი სალოცავი მისი პროტოტიპია; ნაგებია იგივე ქვით და ფასადების არქიტექტურაში გამოყენებულია იგივე დეკორი. სავარაუდოა, რომ იგივე ოსტატების მიერ არის აშენებული. სალოცავი გეგმაში სწორკუთხოვანი ფორმისაა, გარეზომებით დაახლოებით 12ხ15.5მ, სიმაღლე 6,5მ, კედლების სისქე- 0.55 მ, ფართი 152 კვ. მეტრი. ადგილობრივი ქვის წყობით, კაპიტალურად, თუმცა ანტისეისმური რაიმე ღონისძიებების გარეშე (იმ დროს სპეციალური ანტისეისმური მშენებლობა არ არსებობდა). თეთრი თლილი ქვით მოპირკეთებული ფასადები პილასტრებითაა დანაწევრებული. ქუჩაზე გამავალ მთავარ ფასადი ზეგვერდითი ნაწილები მსუბუქი რიზალიტებით გამოიყოფა. სარკმლების რგოლოვან თავსართებს შპილები აგვირგვინებს. შემოსასვლელის მხარეს არის ტრადიციული ქალთა გალერეა (ებრ. ყეზარათ ნაშიმ) ზომებით 2,2ხ10,5მ, დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს გარედან. სინაგოგის შიდა სივრცე ერთ დარბაზს წარმოადგენს. დარბაზის ცენტრში აღმართულია თება, ხოლო შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, უკანა განივი კედლის ცენტრში განთავსებულია არონ ჰაკოდეში. ჰეხალი გარედან დაფარულია ძვირფასი ხავერდის ფარდით, რომლის გადაწევა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გაიხსნება ჰეხალი „თორის“ გამოსაბრძანებლად, სათანადო თებაზე დასაბრძანებლად და წასაკითხად. „თება“ და „არონ-ჰაკოდეში“ დარბაზში ხისაა, მარტივი პროფილებით. სკამების განლაგება სალოცავ დარბაზში ძირითადად აშქენაზურია, განივად, ჰეალის მოპირდაპირედ, თუმცა, სეფარადული ტრადიციული განლაგებაც არის შერეული, გრძივად, ჰეალის გასწვრივ. სალოცავის ინტერიერი შედარებით სადაა, სასაიამოვნო, შთამბეჭდავია, ღია ფერებითაა მოხატული, ნახატის თემატიკაა ორნამენტული მოტივები. დარბაზს ამშვენებენ ჭაღები, მემორიალური დაფები თორის ტექსტებით. ვანის სალოცავში ჯამაათს ემსახურებოდნენ ხახმები შიმშონ თეთრუაშვილი და შიმყონ ხუბელაშვილი (ოფიციალური მონაცემებით). კაი დღეებში (დღესაწაულებში) მლოცველთა რიცხვი 180 -მდე იყო. საბჭოთა პერიოდში ლოცვამ ბევრი განსაცდელი გამოიარა. 1971 წლის დიდი ალიის დაწყების წინ ვანში 730-მდე ებრაელი მოსახლე ცხოვრობდა.1977 წელს, რამდენიმე, თითებზე ჩამოსათვლელი ებრაელი მოსახლე იყო შემორჩენილი. დღეისათვის ვანში აღარცერთი ებრაელი აღარ ცხოვრობს. ვანის ლოცვა თავისი ისტორიით არქიტექტურით მეტწილად ტურისტების ინტერესს წარმოადგენს.

(დასასრული იქნება)

სოფელ ბანძის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ისტორიიდან

(XIX ს-ის II ნახევარი – XX ს-ის I ნახევარი)

იგორ კეკელია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

(გაგრძელება. იხ. „მ“ №8)

ბანძის სავაჭრო ცენტრად გარდაქმნას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა — სენაკის მაზრის შუა ადგილი, რის წყალობით აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 70-90-იან წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქვე იყო სამამასახლისო ცენტრი, 1875 წლიდან აქვე მოქმედებდა საშინაო სკოლა, სადაც დადიოდნენ ბავშვები სოფლებიდან. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამდეც ბანძაში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მედუქნეებს დიდ შემოსავალს აძლევდა. სოფლის ცენტრში, სახმელეთო გზის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო სავაჭრო და საბაზრო ნაგებობანი. ბანძა წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებით და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. სოფელი თვალსაჩინო როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. სოფელს სიცოცხლეს მატებდა საკვირაო ბაზრობა. აქ იყო ახლო-მახლო სოფლების — აბედათის, ჯოლოს, ვედიდკარის, მუხურჩის, ნოქალაქის, ლებაღათურეს, ვედიდკარის, მუხურჩის, ორქა-მახათის, სეფიეთის, ნაგებერუს, ნაჯახუს, ლეხაინდრეს, ნოჯიხენის, ნაგვაზუს, ნახარებუს, ონოღიის, გეჯეთის მცხოვრებთა სავაჭრო ადგილი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები სენაკიდან, მარტვილიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და სხვ. თამაკონიდან და ტეხურს-გაღმა მდებარე სხვა სოფლებიდან მექაიაქეშ შარათი („მექალაქის გზა“, „ქალაქში მიმავლის გზა“) მომავალ გლეხებს ბანძის ბაზარზე გასაყიდად მოჰქონდათ კერამიკული ნაწარმი, ხის ჯამ-ჭურჭელი და ა. შ. აქაური ებრაელი ვეჭრები საზღვარგარეთაც ახერხებდნენ სიარულს და იქიდან სავაჭრო საქონლის ჩამოტანას.

როგორც აღვნიშნეთ, ურიაკარის ბაზარში ახლომახლო სოფლებიდან შემოჰქონდათ აბრეშუმის ნაწარმი და თესლი, წუღები, ჩოხები, ნაბდის ქუდები, ნოხები, მატყლი, ვერცხლის ქამარ-ხანჯლები, მარცვლეული (სიმინდი, ღომი, ლობიო), შინაური ფრინველი, რძე და რძის ნაწარმი, ღვინო, სხვადასხვა ხილი, მწვანილი, თევზი და სხვ. აქ ნახავდით ქვემო იმერეთის სოფლებიდან გლეხების მიერ ჩამოტანილ საზამთროს და ნესვს, მეგრელი მეთუნეების მიერ დამზადებულ კეცებს, ჩაჩამუტებს, დერგებს, ქვევრებს, დოქებს, კოკებს, ჭის გვიმებს; ბალდელი, ლეცაველი, ნახახულეველი და მათხოჯელი ხის ოსტატების მიერ დამზადებული ხონჩებით, კოვზებით, ჯამებით, კალათაებით, ტაბაკებით, გიდლებით დატვირთულ ფარდიან ურმებს თუ ჩალვადრებს. საორინჯოსთან იყიდებოდა შეშა, ქვის ბოძები, წისქვილის დოლაბები, კირი და სხვ. აქ იყიდებოდა ტალერიდან და მთიანი სამეგრელოს ხე-ტყით მდიდარი სხვა სოფლებიდან ჩამოტანილი „ყამბარი“ (ყავარი) და სხვა სახის ხის სამშენებლო მასალა. იყიდებოდა აგრეთვე ცხენის აღკაზმულობა - უნაგირები, მათრახები, უზანგები, ნალები, სხვადასხვა სახის რკინის ნაწარმი, რასაც ადგილობრივი გლეხები სამჭედლოებში ამზადებდნენ. „ჩაკაზიდი ინჩხირაეფი“ ვაჭრობდნენ თავსაბანი თეთრი მიწით. დიდი გასაღება ჰქონდა აგრეთვე თამბაქოს. ებრაელები ჩითებს და ფართლეულს შინაურ ფრინველებშიც ცვლიდნენ; ამასთანავე, ყიდულობდნენ ჯაგარს ჯაგრისების დასამზადებლად. სოფელში არსებობდა აბრეშუმის პარკისა და სიმინდის შემძენი და სარეალიზაციო პუნქტები.

ბაზრის პარალელურად ვაჭრობა მიმდინარეობდა სოფლის ცენტრში გამართულ დუქნებსა და ხის ფარდულებში. ვაჭართა უმრავლესობას ებრაელები წარმოადგენდნენ, თუმცა ამ საქმიანობაში ჩაბმული იყვნენ აგრეთვე ადგილობრივი მეგრელები, გლეხების, ხელოსნების, აზნაურების სოციალური ფენიდან. ბანძელ ვაჭართა უმრავლესობა გლეხთა წრიდან იყო გამოსული.

ბანძაში თანდათან იზრდებოდა სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი, რასაც ხელს უწყობდა სოფლის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა - აქ თავს იყრიდა სენაკ-ნოქალაქენიდან, ნაოღალენიდან, ჯოლო-აბედათიდან, აბაშა-სუჯუნიდან, ხონი-ლეხაინდრედან, სამიქაო-ონოღიიდან მომავალი გზები, რის გამოც ბანძელები ჩაბმულნი იყვნენ

(დასასრული მე-8 გვერდზე)

1. წამოწყება, რომელიც სამყაროს ცვლის

ჯმო-ს მონაცემებით, სუფთა სასმელი წყლის უკმარისობა საგანგებო სიტუაციის შემქმნელია მსოფლიოს ყოველი მესამე ადამიანისათვის — შორეული — მიყრუებული სოფლები, თუ დიდი ქალაქები ონკანიდან ვერ ღებულობენ უსაფრთხო სასმელ წყალს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ სუფთა სასმელი წყალი დეფიციტურია მოსახლეობის ღარიბი ნაწილისათვის. ჯმო-ს მონაცემებით, 2030 წლისათვის სუფთა სასმელი წყლის მიღების ინფრასტრუქტურა, შესაძლოა, 6-7 ტრილიონი დოლარი ღირდეს. ამ გარემოების გათვალისწინებით, პრობლემის გადასაწყვეტად სულ სხვაგვარი პრაქტიკული მიდგომა გვჭირდება.

მიხეილ მირილაშვილი საერთაშორისო არენაზე ცნობილია, როგორც გამოცდილი და წარმატებული ბიზნესმენი. ეს ლიდერი და ფილანთროპი მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად მსოფლიოს სთავაზობს სრულიად ახალ მიდგომას. მან კარგად იცის, რომ სუფთა სასმელი წყალი ადამიანებისათვის ყველაზე ძვირფასი რესურსია. კრიზისი კი სავსებით რეალურია და იგი დღითიდღე ღრმავდება. მიხ. მირილაშვილს კარგად ესმის, რომ წყლის მიღების სრულიად ახლებური გააზრება გამოგვიყვანს კრიზისული მდგომარეობიდან და შექმნის წყლის სიუხვეს. მიხ. მირილაშვილმა დაინახა, რომ Watergen არის ერთადერთი გზა მდგომარეობის რევოლუციური ხსნისა. ამდენად, თავს იდო პასუხისმგებლობა Watergen-ის მეოხებით დადებითად გადაწყვიტოს სუფთა სასმელი წყლის უკმარისობის საკითხი.

— როგორც Watergen-ის ლიდერის, ჩემი მიზანია გადავწყვიტო თანამედროვე მსოფლიოში არსებული სუფთა სასმელი წყლის უკმარისობის კრიტიკული პრობლემა — ამბობს მიხ.მირილაშვილი.

Watergen-ის კომერციული პროდუქტების ხაზი სავსეა ტექნოლოგიების სამყაროში პატენტირებული თბური გაცვლის Genius-ით, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს მიიღოს სუფთა სასმელი წყალი.

მიხეილ მირილაშვილი მიიჩნევს:

— ჩვენი ტექნოლოგია სამი უაღრესად მნიშვნელოვანი უპირატესობით გამოირჩევა. ვერცერთი კომპანია მას ვერც კი მიუახლოვდება. ელექტრონული ეფექტურობა, სასმელი წყლის ხარისხი და მესაამე: სასმელი წყლის ფართო დიაპაზონის ტემპერატურაში წარმოება და ნესტიანობის დონე.

Watergen-ის პროდუქტები ხელმისაწვდომობით, გამოყენებითი უბრალოებითა და ეკოლოგიური უსაფრთხოებით ხასიათდება, რაც მას მსოფლიო ბაზარზე უპრეცედენტოს ხდის. მისი ფართო ასორტიმენტის კომერციული პროდუქტები განკუთვნილია საოჯახო მეურნეობის, სკოლების სავაჭრო ცენტრების, საცხოვრებელი კორპუსების, ფაბრიკების, პატარა სოფლებისა და დასახლებული პუნქტებისათვის. მეტიც: იგი გთავაზობთ მობილურ პროექტს „წყალი ჰაერიდან“ და მისი შექმნა ყველას ძალუძს მსუბუქ, სატვირთო ავტომანქანებში, მატარებლებსა, თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებებში.

დღეს ფაქტიურად ყოველი ქვეყანა მისდევს წყლის განაწილების ცენტრალიზებულ მოდელს. რასაკვირველია, ეს მმართველობას აიოლებს, მაგრამ ეს უძველესი ინფრასტრუქტურა წამლავს ჩვენს წყალს. ეს სისტემა განსაკუთრებული მოვლენების, სტიქიური უბედურებისა, თუ კრიზისების ჟამს კატასტროფის მომასწავებელია. კორონავირუსის დაუმთავრებელი პანდემია ჩინებულად წარმოაჩენს, თუ რაოდენ საშიშია ცენტრალიზებულ სისტემაზე დამოკიდებულება. ამ პრობლემას წარმატებით წყვეტს Watergen-ის მეოხებით სუფთა სასმელი წყლის მიღება — მისი ყოველი პროდუქტი ხომ დეცენტრალიზებული, დამოუკიდებელი და თავისთავადია. კერძო პირებს კი საშუალებას აძლევს გაერთიანდნენ და ჰქონდეთ „საკუთარი“ წყალი.

ამას გარდა, Watergen-ის პროდუქტებს გააჩნია დამატებითი უპირატესობა: იმდენად რამდენადაც წყალი იქმნება იქ, სადაც ის სჭირდებათ, მისი ტრანსპორტირებისათვის საჭირო არ არის პლასტიკური ბოთლები და კონტეინერები. დღვანდელი ადამიანი კარგავს წყალგაყვანილობის სისტემის უსაფრთხოებისადმი ნდობას. ეს კი იწვევს პლასტიკურ ბოთლებში განთავსებული წყლის მოთხოვნილებას. ყოველ წუთში იყიდება 1 მილიონი პლასტიკური ბოთლის წყალი და ამ ერთი მილიონი პლასტიკური ბოთლის 90% არ გადამუშავდება. ეს კი ის გლობალური კატასტროფაა, რომელსაც ჩვენი პლანეტისათვის ნეგატიური შედეგი მოსდევს.

Watergen-ი უარს ამბობს პლასტიკური ბოთლების ლოჯისტიკაზე.

დღეს Watergen სამოც სახელმწიფოში მუშაობს — ყოველდღიური მოხმარებისათვის ჰაერიდან ქმნის სუფთა სასმელ წყალს. ეს კი შველის მთელ მსოფლიოში მძიმე სიტუაციების გამოსწორებას. რამდენიმე მაგალითი: Watergen-ის მოწყობილობას მიმართეს ინდოეთში მაშინ როცა მუსონები იმუქრებოდა, ღაზას სექტორის ერთადერთ პედიატრიულ ონკოლოგიურ განყოფილებაში, უზბეკეთის ბავშვთა სახლში, აშშ წითელი ჯვრისა და FEM-ს პარტნიორობით ფლორიდასა და ტეხასში ქარიშხლის დროს.

2. სულის სიღრმეში დიდი ჰუმანიტარი

მიხეილ მირილაშვილი ცნობილი მეწარმე-ბიზნესმენია. მას ამ სფეროში აქვს წარმატებათა დიდი ისტორია, მაგრამ სულის სიღრმეში დიდი ჰუმანიტარია. მტკიცედ სჯერა, რომ მოყვასს უნდა მიეშველო. ამ მცნებას სხვადასხვა ხასიათის ჰუმანიტარული და სოციალური ინიციატივებით ყოველდღიურად ასრულებს კიდეც. ეს სულისკვეთება მშობლების, ბებიებისა და ბაბუების მიერ მოდელირებული დიდი აღზრდით, მათი ცხოვრების წესის, ქცევათა ჯამით შეისისხლხორცა და რაც მთავარია, ყველაფერი სათავეს იღებს ებრაული რელიგიის დიდ ზნეობრივ სწავლებაში

დოქტორი მიხეილ მირილაშვილი მღელვარედ გვესაუბრება იმ დიდ სულიერებაზე, რომელიც მის ოჯახში სუფევდა. სულისკვეთება იმისა, რომ დაუბრუნო საზოგადოებას ის, რაც მან გიწილადა, მისი ოჯახის თავისებურება გახლდათ. ეს ოჯახი კი იყო საქართველოს ძლიერი ებრაული თემის ერთი ნაწილი. მისი ბებია-ბაბუების ოჯახებში ადამიანები — იქნებოდა ქართველი, თუ ებრაელი, შველისთვის მოდიოდნენ. მიხეილი გაიზარდა გარემოში, რომელშიც მუდამ სიკეთეზე, გულმხურვალებასა და ადამიანებისადმი თანაგრძნობის ნიჭზე საუბრობდნენ. მეტიც: როცა მის ბაბუას რაიმეს თხოვდნენ და ისიც ამ თხოვნას ასრულებდა, მერე იმაზე ფიქრობდა, საკმარისი იყო თუ არა ის, რაც მან მთხოვნელს გაუკეთა — იგრძნო თუ არა იმ ადამიანმა რაიმე შვება, მდგომარეობის გაუმჯობესება.

მას შემდეგ, რაც ბაბუა გარდაიცვალა, მეუღლის სულისკვეთებით ცხოვრება — მიეშველო იმას, ვისაც მიშველება სჭირდება — ბებიამ განაგრძო. დოქტორ მირილაშვილს კარგად ახსოვს ბებიის ჭიშკარს მთხოვნელები როგორ მოადგებოდნენ ხოლმე. ჯერ კიდევ მოზარდი დოქტორი მიხ. მირილაშვილი ბებიას ფულს სთხოვდა, რომ თავად შესწეოდა მთხოვნელთ, მაგრამ ბებია შვილიშვილს ჩააგონებდა, რომ ის, რაც მას სწადია, არ არის დახმარების სწორი გზა. ბებია მთხოვნელს შინ შეიყვანდა, დააპურებდა, საკვებს თან გაატანდა და ფულსაც ჩაუდებდა ხელში.

დოქტორ მიხეილ მირილაშვილის მამამ — ასევე მიხეილმა, დიდი ზეგავლენა იქონია უფროსი ვაჟის სულიერ ჩამოყალიბებასა და ფილანთროპიის იმ მოდელზე, რომელსაც დოქტორი ყოველდღიურად ანხორციელებს. გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მამა შვილს — მიხეილს შეუერთდა სანქტ-პეტერბურგში, სადაც იმჟამად დოქტორი მიხეილ მირილაშვილი მოღვაწეობდა. ამ დროისათვის მას რუსეთში უკვე რამდენიმე ბიზნესი ჰქონდა. ამიტომ მასთან საქართველოდან სამოქალაქო ომს თავდაღწეული ბევრი ქართველი, თუ ებრაელი ჩავიდა. მამამ ყოველი ამათგანის დასაქმება სთხოვა, თუმცა, ჩამოსულთა უმეტესობას არა-რა სპეციალობა არ გააჩნდა. დოქტორმა მიხ. მირილაშვილმა მამას ეს მდგომარეობა გააცნო. მამა საქართველოდან ლტოლვილთა დასაქმებას მაინც დაჟინებით მოითხოვდა და მანაც მამის სიტყვას გვერდი ვერ აუარა.

დიდი ებრაელი სწავლული მაიმონიდი გვასწავლის, რომ არსებობს ქველმოქმედების რვა საფეხური. ყველაზე მაღლა დგას მცნება ადამიანს მისცე თავისი საქმე. დოქტორი მიხ.მირილაშვილი აღნიშნავს, რომ მისი მამა კიდევ უფრო შორს წავიდა — შექმნა მეცხრე საფეხური. რატომ? ადამიანები, რომლებიც მან შვილს კომპანიაში სამუშაოდ მიაღებინა, დროთა განმავლობაში ამ კომპანიის წარმატების ისეთი მამოძრავებელნი გახდნენ, რომ დღეს გაურკვეველია, თუ ვინ უფრო დავალებულია: ადამიანები, რომლებიც მამამ შვილს სამსახურში მიაღებინა, თუ კომპანია ამათგან — დღეს ეს ადამიანები ბიზნესის მამოძრავებელი ბერკეტები გახლავან.

მიხ. მირილაშვილს გამოცდილება ასწავლის: წარმატების დასტური ის კი არ არის, თუ ბიზნესმა რაოდენი ფინანსები მოგცა, არა, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბიზნესის მომგებიანობა განისაზღვრება იმით, შენი საქმიანობა თუ რაოდენ კეთილსასურველ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. განვლილი წლების განმავლობაში მან შეიმეცნა , თუ რაოდენი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელქვეითებისადმი დამოკიდებულების რაობას — ურთიერთობისას პატივისცემის, ღირსეული ატმოსფეროს შექმნას. თანამშრომლებთან მტკიცე კავშირი ამ გზით დაამყარა: მათ ისე ეკიდება, როგორც თავისი მეორე ოჯახის წევრებს — მათთან ერთად ინაწილებს სირთულეებსაც და წარმატებასაც. მიხ. მირილაშვილი თავის ჰუმანიტარულ სულისკვეთებას ბიზნესშიც ძლიერ იცავს.

— Watergen-ის ლიდერობას მე განვიხილავ, როგორც ბიზნესის უდიდეს შესაძლებლობას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ გადავჭრათ კაცობრიობას დამუქრებული გლობალური პრობლემა. ეს პრობლემა მსოფლიოს ცხოვრების გართულებას უქადის.

ასე რომ მიხ. მირილაშვილის მისია — ადამიანები უზრუნველყოს სუფთა სასმელი წყლით — ხალხი არ უფრთხოდეს ინფექციას, ავადმყოფებს, წარმოგვიდგება, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მორალური და რელიგიური მოვალეობა.

ყველაფერი ამის პარალელურად, მიხ. მირილაშვილი გახდა „ვერტიკალური მდელოს“(VF) მფლობელი. „ვერტიკალური მდელო“ ვერტიკალური ფერმერობის სტარტაპთა მრავალი ჯილდოს

(დასასრული მე-6 გვერდზე)

შალომ დავიდი (დავითაშვილი) — თანამედროვე ქართველი ებრაელობის დიდებული წარმომადგენელი, ვინაც თავისი შრომით ხელმისაწვდომი გაგვიხადა ებრაული კლასიკური მემკვიდრეობა — თითქმის ყველაფერი საუკეთესო იმათგან, რაც ჩვენს ერს საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია.

ამ ათიოდე წლის წინათ, შალომ დავიდი 70 წლის რომ გახდა, მისი ნიჭისა და გაწეული შრომის პატივისმცემლებმა — ჩვენი დროის ქართველ ებრაელთა ღირსეულმა შვილებმა, „მენორას“ ფურცლებზე გულითადად მიულოცეს საიუბილეო თარიღი. დღეს — შალომის 80 წლისთავზე, იგივე განზომილებაში ნათქვამის გამეორებას ვარჩიეთ მკითხველს თვალის ერთი გადავლებით ვაჩვენოთ თუნდაც ერთი ნაწილი იმ შრომისა, რაც ამ ღვაწლმოსილ ადამიანს უკეთებია.

ვიმეორებთ: ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი ნაწილია ამ ჭარმაგი ჭაბუკის მიერ ქმნილისა.

ბატონო შალომ, გილოცავთ 80 წლის იუბილეს - როგორც მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი, როგორც თქვენი ოჯახის ახლობელი ადამიანი და როგორც თქვენი პირადი მეგობარი. გილოცავთ პატივისცემით და მადლიერებით აღვსილი, რადგან თქვენ უდიდესი როლი მიგიძღვით ჩვენი თემის მთელი ქართველი ებრაელობის სულიერი, ინტელექტუალური და კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრებაში. სამეცნიერო და საგანმანათლებლო-მთარგმნელობითმა საქმიანობამ, რომელსაც ათწლეულების მანძილზე მუხლჩაუხრელად ემსახურებით, ათასობით ადამიანი აზიარა თორის სინათლეს და დანარჩენ მსოფლიოს დაანახა, თუ რაოდენ დიდი წყალობაა გამჩენისაგან, იყო ებრაელი - წყალობაც და ამავდროულად, პასუხისმგებლობაც. ამის დასტურად, არაერთი თქვენი ნაშრომი და გამოცემა შეიძლება გავიხსენოთ: თორის ხუთწიგნეულის, სიდურის და სხვა ქმნილებათა თარგმანი ქართულ ენაზე, ებრაელი ხალხის ისტორია, რომელიც მიუძღვენით თქვენი დიდი წინაპრის, რაბი ყიმანუელ დავითაშვილის ნათელ ხსოვნას. იგი გახლდათ საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი, ასევე თბილისის მთავარი რაბინი - მაღალი სულიერების რელიგიური ლიდერი, უაღრესად ბრძენი და ცადიკი ადამიანი და თქვენ ღირსეულად განაგრძობთ დიდი რაბინების საოჯახო ტრადიციებს. დალოცოს ღმერთმა თქვენი წინაპრები, თქვენი აწმყო და მომავალი. აგრეთვე, მნიშვნელოვანია თქვენი მთავარი რედაქტორობით გამოცემული არაერთი ჟურნალი და წიგნი, რომლითაც მაღლა ასწიეთ ჩვენი თემის ღირსება უფლის და მთელი მსოფლიოს თვალში. სწორედ ამიტომ, ჩემი მადლობაც სრულიად გულწრფელად და დამსახურებულად გეკუთნით.

გილოცავთ და გლოცავთ, ბატონო შალომ, გისურვებთ დღეგრძელობას, ურყევ ჯანმრთელობას და მხნეობას, რათა თქვენი სიბრძნე და განსწავლულობა კიდევ დიდხანს ემსახუროს გამჩენის სიტყვის მიტანას ადამიანთა გულებამდე.

180 წელსაც შალომით შეხვდით, შალომ ბატონო!

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი,
იაკობ გაგულაშვილი

შალომ დავიდის მიერ ებრაული ენიდან თარგმნილი ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშები:

ბერეშით (დასაწყისი)

უპირველესად ღმერთმა განსახა ცა და დედამიწა.

2. და დედამიწა იყო უსახო და უსავანო, ბნელი სუფევდა უფსკრულის პირზე და სული ღვთისა ქროდა წყლის პირზე.

3. და თქვა ღმერთმა იყოს ნათელი და იყო ნათელი.

4. იხილა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო და გამოყო ღმერთმა ნათელი ბნელისაგან.

5. და ღმერთმა ნათელს უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო და იყო დილა — ერთი დღე.

6. და თქვა ღმერთმა: იყოს მყარი წყალთა წიაღში და იქნეს გამყოფად წყალსა და წყალს შორის.

7. და გააკეთა ღმერთმა მყარი და გამოყო ერთმანეთისაგან წყალი, რომელიც არის მყარის ქვემოთ და წყალი, რომელიც არის მყარის ზემოთ. და იქმნა ასე:

8. და მყარს ღმერთმა უწოდა ცა. და იყო საღამო და იყო დილა — მეორე დღე.

9. და თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთ ადგილას ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი და იქმნა ასე.

10. ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყლებს უწოდა ზღვები და იხილა ღმერთმა რომ კარგი იყო.

11.და თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს დედამიწამ აღმოსაცენი — ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, ნაყოფის მომტანი თავისი ჯიშისამებრ, რომელშიც მისი თესლია. და იქმნა ასე.

12. და გამოაწიაღა დედამიწამ აღმონაცენი — ბალახი, თესლის მთესველი თავისი ჯიშისამებრ და ხე ნაყოფის მომტანი, რომელშიც მისი თესლია, თავისი ჯიშისამებრ და ღმერთმა იხილა, რომ კარგი იყო.

13. და იყო საღამო და იყო დილა — მესამე დღე.

14. და თქვა ღმერთმა: იყოს მნათობნი ცის მყარში დღისა და ღამის გასაყრელად. და იქმნენ ჟამთა, დღეთა და წყალთა მანიშნებლად.

15. და იქმნენ მანათობლად ცის მყარში გასანათებლად დედამიწაზე და იქმნა ასე.

16. და გააკეთა ღმერთმა ორი დიდი მნათობი: დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად და ვარსკვლავნი.

17. და მოათავსა ისინი ღმერთმა ცის მყარზე დედამიწის გასანათებლად.

18. რათა განეგოთ დღისით და ღამით და გაეყოთ ნათელი და ბნელი. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო.

19. და იყო საღამო და იყო დილა — მეოთხე დღე.

20. და თქვა ღმერთმა: გამოაქვეწარმავლოს წყალმა ქვეწარმავალი, ცოცხალი სული, და ფრინველმა იფრინოს დედამიწაზე, ციური მყარის პირზე.

21. და განსახა ღმერთმა დიდი თევზები და ყოველი ცოცხალი სული, ქვემძრომნი,რომელნიც გამოაქვეწარმავლა წყალმა მათი ჯიშისამებრ, და ყველა ფრთოსანი ფრინველი თავისი ჯიშისამებრ. ღმერთმა იხილა რომ კარგი იყო.

22. აკურთხა ისინი ღმერთმა, ამ თქმით: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ და აავსეთ წყალნი ზღვისანი და ფრინველმა იმრავლოს დედამიწაზე.

23. იყო საღამო, იყო დილა — მეხუთე დღე.

24. და თქვა ღმერთმა: გამოაწიაღოს დედამიწამ ცოცხალი სული თავისი ჯიშისამებრ — პირუტყვი, ქვეწარმავალი და დედამიწის მხეცი თავისი ჯიშისამებრ. და იქმნა ასე.

25.და შექმნა ღმერთმა დედამიწის მხეცი თავისი ჯიშისამებრ. პირუტყვი თავისი ჯიშისამებრ და დედამიწის ყველა ქვეწარმავალი თავისი ჯიშისამებრ. იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო.

26. და თქვა ღმერთმა: შევქმნათ ადამიანი ჩვენი სახიერებით და ჩვენი მსგავსებით და იუფლონ ზღვის თევზზე, ციურ ფრინველზე, პირუტყვზე. მთელ დედამიწაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელნიც ქვეწარმავლობენ დედამიწაზე.

27. განსახა ღმერთმა ადამიანი თავისი სახიერებით. ღვთის სახიერებით განსახა ის. მამრად და მდედრად განსახა ისინი.

28. და აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ ღმერთმა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ. აავსეთ დედამიწა, დაიპყარით იგი, დაეუფლეთ ზღვაში თევზს, ცის ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი ქვემძრომობს დედამიწაზე.

29. და თქვა ღმერთმა:აჰა, მოგეცით თქვენ ყოველი ბალახი, თესლის მთესველი,რომელიც დედამიწის მთლიან ზედაპირზეა, და ყოველი ხე, რომელშიცაა ნაყოფი ხისა, მთესველი თესლისა, თქვენ გქონდეთ საჭმელად.

30. დედამიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, დედამიწის ყველა ქვეწარმავალს, რომელშიც ცოცხალი სულია, ყოველი მწვანე ბალახი ჰქონდეს საჭმელად. და იქმნა ასე.

31. იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა და აჰა, ფრიად კარგია. იქმნა საღამო და იქმნა დილა — მეექვსე დღე.

წიგნი თეჰილიმ-საგალობელთა

საგალობელი 23

1.დავიდის საგალობელი. უფალი ჩემი მწყემსია. არაფერი არ მომაკლდება. 2. ბალახოვან იალაღზე დამავანებს, წყნარ წყლებზე წარმიძღვება. 3. სულს ჩამიბრუნებს, თავისი სახელისათვის სიმართლის კვლებზე წარმმართავს. 4. სიკვდილის აჩრდილის ველზეც რომ ვიდოდე, ბოროტეულის არ მეშინია — რამეთუ შენ ხარ ჩემთან. მანუგეშებს შენი არგანი და შენი კვერთხი.5. ჩემს წინაშე გააწყვე სუფრა, ჩემს მაჭირვებელთა თვალწინ, ზეთი სცხე ჩემს თავს. გაჟღენთილია ფიალა ჩემი. 6. დაე, მთელი ჩემი სიცოცხლე, სიკეთე და წყალობა იყოს თანმხლები ჩემი და დღენიადაგ უფლის სახლში დავსაყუდრდები.

საგალობელი 24

დავიდის საგალობელი. უფლისა არს დედამიწა და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი.2 რამეთუ ზღვებზე დააფუძნა მან ის და მდინარეებზე განამტკიცა იგი. 3. ვინ ავა უფლის მთაზე? და მისი საწმიდრის ადგილზე ვინ წარდგება? 4.ვისაც აქვს ნებები სუფთა და გული წმინდა, ვისაც თავისი სული ამაოებისადმი არ წარუვლენია და ზაკვით არ დაუფიცავს. 5. (მას) ეწილბედება უფლისმიერი კურთხევა და მოწყალება — თავისი მხსნელი ღმერთისაგან. 6. მის მაძიებელთა თაობა ეს არის, ვინც ეძიებს შენს სახებას, (ღმერთო) იააკობისა . სელა! 7. ასწიეთ ბჭენო თავები თქვენნი, და აიწიეთ, კარნო მარადნო, რომ შემობრძანდეს დიდება მეფის. 8. ვინ არს ეს მეფე სადიდებელი? უფალი-ძლევამოსილი და ყოვლადძლიერი, უფალი — ძლიერი ომში. 9. ასწიეთ ბჭენო, თავები თქვენნი,და აიწიეთ კარნო მარადნო, რომ შემობრძანდეს დიდება მეფის! 10. ვინ არს ეს მეფე სადიდებელი? ლაშქართ უფალი, ის არს მეფე სადიდებელი. სელა!

საგალობელი 25

დავიდის (საგალობელი). შენდამი აღვავლენ, უფალო ჩემ სულს. 2 ღმერთო ჩემო, ვსასოებ შენით! ნუ შევრცხვები, ნუ იზეიმებენ ჩემი მტრები! ასევე ყველა ნუ შერცხვება, ვინც იმედოვნებს შენით. შერცხვნენ ამაოდ განდგომილები. 4 მაუწყე, უფალო შენი გზები, მასწავლე შენი კვლები. 5 წარმმართე შენი ჭეშმარიტებით და მასწავლე, რამეთუ შენ ხარ ჩემი ხსნის ღმერთი, დღენიადაგ ვსასოებ შენით. 6. გაიხსენე, უფალო ლმობიერება და წყალობა შენი, რამეთუ სამარადჟამოა ისინი.7. ჩემი ყრმობის შეცოდებას და ჩემს დანაშაულს ნუ გაიხსენებ. შენი წყალობით, შენი სიკეთით გამიხსენე, უფალო. 8. კეთილი წრფელია უფალი, ამიტომ ცოდვილთ გზას უჩვენებს. 9. თავმდაბალთ წარმართავს მართლმსაჯულებით და თავის გზას ასწავლის მორჩილთ. 10. უფლის ყველა კვალი წყალობაა და ჭეშმარიტება — მისი აღთქმისა და მცნებების შემნახველთათვის. 11. შენი სახელისათვის უფალო, შეუნდე ჩემს ცოდვას, რამეთუ დიდია იგი. 12. ვინ არს კაცი მოშიში უფლის? მას უჩვენებს გზას ამოსარჩევს. 13. მისი სული ქველობაში დასაყუდრდება, მისი ნაშიერი კი დაიმკვიდრებს ქვეყანას. 14. უფალი თავის მოშიშართ (უმხელს) იდუმალებას და თავის აღთქმას აუწყებს მათ.15. ჩემი თვალნი მარად — უფლისადმია, რამეთუ ჩემს ფერხთ გამოიხსნის მახისაგან. 16. მომხედე და შემიწყალე, რამეთუ მარტოხელა (ეული) და უპოვარი ვარ მე. 17. განივრცო სატანჯველი ჩემი გულისა, გამომიყვანე ჩემი შეჭირვებიდან.18. იხილე ჩემი ჯაფა და წამება, მიუტევე ყველა ჩემ შეცოდებას. 19. შეხედე ჩემს მტრებს, რარიგ გამრავლდნენ და უმართლო სიძულვილით მომიძულეს. 20. დაიფარე ჩემი სული და დამიხსენი, ნუ შევრცხვები, რამეთუ შენ შეგეხიზნე. 21. უბიწოებამ და სიწრფელემ დამიფაროს მე, რამეთუ შენით ვსასოებ. 22. იხსენ, ღმერთო, ისრაელი ყოველი სატანჯველისაგან.

საგალობელი 35

1. დავიდის (საგალობელი). ეპაექრე უფალო, ჩემს მოპაექრეთ. ჩემს წინააღმდეგ მებრძოლთ ებრძოლე. 2. მოსჭიდე ხელი ფარსა და აბჯარს. წამოიმართე ჩემს შესაწევნად! 3. იშიშვლე ლახვარი და ჩემს მდევნელებს გზა გადაუღობე. უთხარი ჩემს სულს: „შენი მხსნელი ვარ“. 4. შერცხვნენ და გაწბილდნენ ჩემი სულის მაძიებელნი, უკუიქცნენ და დამდაბლდნენ ჩემი სიავის მზრახველნი. 5. გარდაიქცნენ ვით ქეჩეჩო ქარის წინაშე, და უფლის ანგელოსი კი უკუაქცევდეს. 6. ბნელი და მოლიპული იყოს გზა მათი, და უფლის ანგელოსი სდევნიდეს მათ. 7. რამეთუ უმიზეზოდ დამიგეს მახე ჯურღმულთან, უმიზეზოდ გაუთხარეს ჩემს სულს (ქვესკნელი). 8. დაე, მასთან მიაწიოს ანაზდეულმა შავსვიანობამ და მისეულ მახეში, რომელიც დამიგო, თავად გაებას — მასში ჩავარდეს დასაღუპავად. 9. და ჩემი სული უფლით მოიხარებს, მისი შველით ინებივრებს. 10. ყოველნი ძვალნი ჩემნი ღაღადყოფენ: „უფალო ვინ არის სადარი შენი, ძლიერისაგან უპოვარის მხსნელო, მძარცველისაგან ღარიბ-ღატაკის“. 11. აღდგებიან ჩემდამი მოწმე მოძალადენი: რაც არ ვუწყი იმას მკითხავენ; 12. სიკეთის მაგიერ ბოროტით მიხდიან, ჩემი სულის მოკვდინება სწადიათ. 13. მე კი მათი ავადობის ჟამს ძაძით ვიმოსებოდი, ჩემს სულს მარხვით ვამარტივებდი! (რასაც მათთვის) ვლოცულობდი (ავრემც) მოიქცეს ჩემს წიაღშ ი! 14. თითქოს-და ჩემი მეგობარი, ჩემი ძმა ყოფილიყო — ვით დედაჩემს ვგლოვობდი, პირქუშ ჩაქინდრული ვიარებოდი. 15. ჩემი უძლურობის ჟამს (ისინი) ხარობდნენ და იკრიბებოდნენ, ჩემს წინააღმდეგ იკრიბებოდნენ ზნეწამხდარნი და რატომ, არ ვუწყი: ხორცს მგლეჯდნენ და არ დუმდებოდნენ. 16. ლაქარდიანი გაქირდვით ნაზუქისათვის კბილებს აღრჭერდნენ ჩემს წინააღმდეგ. 17. უფალო, როდემდე უყურებ? მათი შავსვიანობისგან ჩემი სული განარიდე. ჩემი ზესული – ლომთაგან. 18. მადლობას გკადრებ დიდ კრებულში, ხოტბას შეგასხამ უამრავ ხალხში. 19. არ გაიხარონ ჩემზე მტრებმან ტყუილუბრალოდ; ჩემი მოძულენი ერთიმეორეს ბედითად ანიშნებენ თვალით. 20. რამეთუ მშვიდობას არ უბნობენ და ქვეყნიერების თვინიერთა მიმართ მზაკვრობას ფიქრობენ. 21. თავიანთი პირი განავრცეს ჩემზე, ამბობენ: აჰა იხილაო ჩვენმა თვალმა! 22. თავად იხილე უფალო, ნუ დადუმდები, ადონაი, ნუ განმერიდები! 23. გამოიღვიძე და წამოდექი ჩემი სამსჯავროსათვის, ღმერთო და ბატონო ჩემო, ჩემი საპაექრო რომ იპაექრო. 24. განმსაჯე შენი სიმართლით უფალო ღმერთო ჩემო, და ჩემი (შავსვიანობით) არ გაიხარონ. 25. ნუ იტყვიან თავიანთ გულში: აჰა (ასე) გვწადიაო! ნუ იტყვიან: ვშთანთქეთო იგი! 26. შერცხვნენ და ერთიანად დამცირდნენ ჩემი შავსვიანობით გახარებულნი, სირცხვილით და გაწბილებით შეიმოსონ, რომელნიც ჩემზე მზვაობარობენ. 27. იზეიმონ და გაიხარონ ჩემი სიმართლის მსურველებმა და მარად უბნობდნენ: განდიდდესო უფალი, თავისი მორჩილისათვის მშვიდობის მსურველი. 28. და ჩემი ენა იქადაგებს შენს სიმართლეს, დღენიადაგ შენს სადიდებელს.

ესთერის გრაგნილი

თავი პირველი

ეს მოხდა ახაშვეროშის დღეებში, იმ ახ-
აშვეროშისა, რომელიც მეფობდა ოცდაშვიდ
სამთავროზე ინდოეთიდან ეთიოპიამდე. 2.
იმ დღეებში, როცა დაჯდა მეფე ახაშვეროში
სამეფო ტახტზე შუშანში, დედაქალაქში. 3.
თავისი მეფობის მესამე წელს გაუმართა ნად-
იმი თავის მთავრებსა და თავის მსახურებს,
სპარსეთისა და მიდიის ლაშქრის მხედართ-
მთავრებს და სამთავროთა გამგებლები მის
წინაშე წარდგნენ. 4. აჩვენებდა თავისი სიდი-
ადის იშვიათ ბრწყინვალებას მრავალ დღეს,
ასოთხმოც დღეს. 5. ამ დღეთა დასასრულს
გაუმართა მეფემ მთელ ხალხს, ვინც კი იყო
შუშანში, დედაქალაქში, დიდსა და პატარას
შვიდდღიანი ნადიმი მეფის სასახლის ეზო-
საბაღნაროში. 6.ლაჟვარდოვანი და თეთრი
ბამბეულის ქსოვილები, ბისონისა და ძოწის-
ფერი ზონარებით იყო მიმაგრებული ვერცხ-
ლის რგოლებზე და მარმალილოს სვეტებზე.
ოქროსა და ცერცხლის საწოლები (იდგა)
ალისფერ, სოსანისფერ, ზურმუხტოვან და
შავ მარმალილოს ფენილზე. 7. და სასმელს
ოქროს სასმისებით სვამდნენ ნაირფერადი
სასმისებით. უხვად იყო სამეფო ღვინო, მე-
ფური ხელგაშლილობით. 8. სვამდნენ წე-
სისამებრ, დაძალების გარეშე, რამეთუ ასე
დაუდგინა მეფემ თავის სახლმმართველებს,
რათა აღესრულებინათ თვითოეული კაცის
სურვილი. 9. ვაშთი დედოფალმაც გამართა
ქალთა ნადიმი მეფე ახაშვეროშის სასახლე-
ში. 10. მეშვიდე დღეს, ოდეს გამხიარულდა
გული მეფისა, უბრძანა მეჰუმანს, ბიზეთას,
ხარბონას, ბიგთას, აბაგთას, ზეთარს და ქა-
რქასს — შვიდ საჭურისს, რომლებიც მსახ-
ურებდნენ მეფე ახაშვეროშს, 11.მოეყვანათ
ვაშთი დედოფალი მეფის წინაშე სამეფო
გვირგვინით, რომ ეჩვენებინა ხალხისთვისა
და მთავრებისათვის მისი მშვენიერება, რა-
მეთუ ის იყო კეთილსახიერი. 12.არ ინება
ვაშთი დედოფალმა მისვლა მეფის ბრძანებით
საჭურისების მიერ რომ ეუწყა. მეფე ფრიად
განრისხდა და მძვინვარება აღივსო მასში.
13. და უთხრა მეფემ ბრძენკაცებს, დრი-ჟამის
მცოდნეთ, რამეთუ ასეთი იყო მეფის ჩვეულე-
ბა — თათბირობდა კანონ-სამართლის მცოდ-
ნეთა წინაშე. 14.მის შინაკაცებს წარმოად-
გენდნენ: ქარშენა, შეთარი, ადმათა,თარშიში,
მერეხი, მარსენა, მემუხანი,- სპარსეთისა და
მიდიის შვიდი მთავარი. მეფის პირისმხილ-
ველნი, სამეფოში პირველ ადგილზე მსხდომ-
ნი. 15. როგორ მოვექცეთ ვაშთი დედოფალს,
კანონის მიხედვით რომ არ შეასრულა მეფე
ახაშვეროშის ბრძანება, საჭურისების მიერ
რომ ეუწყა? 16. თქვა მემუხანმა მეფისა და
მთავრების წინაშე, რომელნიც კი მეფე ახაშ-
ვეროშის მთელ სამთავროებში ცხოვრობენ.
17. რამეთუ მიწვდებათ დედოფლის ამბავი
ქალებს და დაამცირებენ თავიანთ ქმრებს თა-
ვიანთ თვალში, ამ თქმით: მეფე ახაშვეროშმა
ბრძანა ვაშთი დედოფლის მიყვანა თავის წი-
ნაშე და არ მოვიდაო იგი. 18.და აწ სპარსელ
და მიდიელ მთავართა ცოლნი, რომლებმაც
ისმინეს დედოფლის თქმული, იგივეს ეტყვიან
მეფის მთავრებს. საკმაო უპატიობა და მძ-
ვინვარება შეგხვდება, 19. თუ მეფისათვის
კეთილსასურველია, გაიცეს მისგან სამეფო
ბრძანება, ჩაიწეროს სპარსელთა და მიდიელ-
თა კანონებში და არ გაუქმდეს, რამეთუ აღარ
შევიდეს ვაშთი მეფე ახაშვეროშის წინაშე. და
მის დედოფლობას მეფე სხვას მისცემს, მასზე
უმჯობესს. 20. და მოვისმენთ მეფის ბრძანე-
ბას, რომელიც გაიცემა მთელ მის სამეფოში,
თუმცა ვრცელია იგი, და ყველა ქალი თავის
ქმარს მიაგებს პატივს, უმცროსიდან უფრო-
სამდე. 21. მოეწონათ ეს სიტყვა მეფესა და
მთავრებს. მემუხანის სიტყვისამებრ მოიქცა
მეფე. 22. და წარგზავნა წერილები სამეფოს
ყველა სამთავროში, თითოეულ სამთავრო-
ში მისი დამწერლობისამებრ და თითოეულ
ხალხთან მისი ენისამებრ, რამეთუ ყოვე-
ლი კაცი გამგებლობდა თავის სახლში და
ლაპარაკობდა თავისი ხალხის ენაზე.

ჰაფტარო*

(შალომ დავიდის შესავალი სტატიიდან)

ბიბლიური კრიტიკის ერთ-ერთ ძირითად სისუს-
ტეს წარმოადგენდა მისი მიდრეკილება მოდერნ-
იზაციისადმი — ძველ მსოფლიოზე მსჯელობა
თანამედროვე შეხედულებისა და წარმოდგენების
პოზიციიდან. არ გაკეთებულა არავითარი ცდა
ბიბლიური სამყაროს ხასიათისა და ზნე-ჩვეულე-
ბათა ნათელყოფისათვის.

არქეოლოგიურ გათხრებში გამოვლენილმა მა-
ტერიალური კულტურის მონაცემებმა, ერთის
მხრივ, დაამტკიცეს ბიბლიის კრიტიკოსთა მთელი
რიგი ჰიპოთეზების უსაფუძვლობა, ხოლო მეორე
მხრივ, გამოაწიაღეს თანახისეულ-ბიბლიურ გად-
მოცემათა ჭეშმარიტება. ასე მაგალითად, საკულ-
ტო-სამოძღვრო კოდექსი, რომელიც ველჰაუზენის
დროიდან მიჩნეული იყო ბაბილონის განდევნი-
ლობის პერიოდის, ანდა მისი მომიჯნავე ეპოქის
ქმნილებად, დადგინდა, რომ სინამდვილეში ის
გაცილებით ძველია და არ არის დაკავშირებული
მხოლოდ მეორე სჯულდების წიგნთან (საყოველ-
თაოდ მიღებული აზრით, ჩვენს ერამდე მე-7 საუ-
კუნეს რომ ეკუთვნოდა). შეიძლება დადასტურდეს
უაღრესი უტყუარობით, ბიბლიურ-ფილოსო-
ფიური ლიტერატურა, რომელიც წარმოსახავს
ბრძენთა სწავლება-დამოძღვრას და დაკავებულია
ამ ეპოქის ეთიკურ-რელიგიური საკითხებით —
იგავებით, იობის წიგნებით, სპარსულ და ელინ-
ისტურ პერიოდებს რომ მიაკუთვნებდნენ, გაც-
ილებით უფრო ძველია. ბიბლიურ-თანახისეული
პოეზია და უწინარეს ყოვლისა, საგალობლები, მე-
19 საუკუნის მრავალ მკვლევართა მიერ რომ იყო
მოხსენიებული მაქაბელთა ეპოქის ქმნილებათა
შორის, გაცილებით ძველი წარმომავლობისაა და
ისინი მიეკუთვნებიან დავიდს, შლომოს და მათი
სამეფო კარის ღვთივშთაგონებულ მგოსნებსა და
მხატვრული სიტყვის სწორუპოვარ ოსტატებს.

და მაინც თანახისეულ ლიტერატურაში არის
ერთი განყოფილება,რომელიც შესაძლოა თვით
ბიბლიურ წყაროებზე დაყრდნობით, უყოყმანოდ
მივაკუთნოთ განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას.
ეს განყოფილება წინასწარმეტყველური ლიტერ-
ატურაა.

შალომ დავიდის მიერ ებრაული ენიდან შესრულებული თარგმანები:

„თორის ხუთწიგნეული“
წიგნი საგალობელთა — „თეჰილიმ“,
„სიდური“ — ლოცვანი
„ ესთერის გრაგნილი,“
„რუთის გრაგნილი“,
„ქებათა ქება“,
„მოსეს ხუთი წიგნი.“1989 წელს სტოკჰოლმში
ბიბლიის თარგმანთა ინსტიტუტის მიერ გამო-
ცემული.

მისი ნაფიქრ-დაწერილი:

„ებრაელი ხალხის ისტორია,“
„ებრაულ-კაბალისტური ფილოსოფია“
გამოსცემდა „ლიტერატურულ ალმანახს“
მისი რედაქტორობით გამოიცა ისრაელის გენ-
ერალური პროკურორის სიტყვა აიხმანის პრო-
ცესზე: „6000000 ადანაშაულებს.“

საუკუნის დამდეგს, როცა შალომ დავიდი ქ.
ხოლონის ვიცე-მერი გახლდათ, მისი ინიციატი-
ვით ამ ქალაქში გაიხსნა „შოთა რუსთაველის სახ.
სკვერი“

სულში სიმშვიდე ვით ისადგურებს?

ბევრს მიაჩნია და როგორც ჩანს, სამართლი-
ანად, რომ ლოცვა ადამიანის უზენაესისადმი
ვედრების მნიშველოვანი საშუალებაა. უზენაე-
სისადმი ვედრება ყოველგვარ დასაშვებ ადამი-
ანურ ქმედებათა სიტყუაციაში, ყოველგვარ მდ-
გომარეობაში, დღისა, თუ წელიწადის ნებისმიერ
დროს, გარემოს განურჩევლად, გახლავთ შესაძლე-
ბელი და ადამიანი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ
უშვებს. ღვთისშვილთა ერთი ნაწილი კი სიცოცხ-
ლის კრიტიკულ მომენტში ცდილობს ლოცვისაკენ
მიბრუნებას — მისთვის განკუთვნილ წრეზე დაბ-
რუნების უმთავრესი განმაპირობებელი გახლავთ
ცხოვრების ამათუ იმ ეტაპზე პიროვნების წინაშე
წარმოშობილი კრიზისული მომენტი.

მე კი ის პროცესი მიმაჩნია ლოცვის აპოთეოზად,
რაც ლოცვისას ადამიანის სულში ხდება. ხდება კი
უმნიშვნელოვანესი რამ, იქნებ, ის, რაც ადამიანს
ასულდგმულებს. უფრო მეტიც: სიცოცხლის ძა-
ლას აძლევს.

ამ ორიოდე თვის წინათ ისრაელის ქალაქ ბათ-
იამის სალოცავში ნასამხრალის ლოცვა — მინხა
შალომ დავიდმა-დავითაშვილმა ჩაატარა. ადგი-
ლობრივმა რაბინმა რა დაინახა, მის სალოცავში
მისული ეს გამორჩეული პიროვნება, შესთავაზა
ლოცვის პროცესს გაძღოლოდა (მე უკვე ვიცოდი,
რომ ქართველ ებრაელთა ეს სალოცავი — ჩინებ-
ული ნაგებობა შალომ დავიდის მოწადინებით
აშენდა, მაშინ როცა იგი რელიგიის მინისტრის
თანაშემწე იყო. შემდეგ, წინა საუკუნის დამლევს,
ეს მინისტრი — ზვულონ ჰამერი, მან თბილისში
ჩამოიყვანა და საქართველოთი თავი სავსებით
სამართლიანად მოიწონა.)

შალომ დავიდიც შეუდგა ნასამხრალის ლოცვას.

უმეტეს შემთხვევაში ასეა: შედგება თებაზე —
ამბიონზე ადამიანი, რომელსაც ლოცვის ჩატარება
სამსახურებრივად ევალება. ზოგი დინჯად, ზოგიც
— სხაპა-სხუპით, საგულდაგულოდ კითხულობს
ლოცვის ტექსტს და ზოგჯერ შთაბეჭდილება
მრჩება (რასაკვირველია, ეს მოჩვენებითი შთაბე-
ჭდილებაა და სხვა არაფერი!) თავადაც არ ესმის
ტექსტის აზრი, არ იცის, თუ რა მისიას ასრულებს.
იმ საღამოს კი, როცა ამბიონზე შალომ დავიდი-
დავითაშვილი შედგა, დაიწყო ადამიანის საუბარი
უზენაესთან. მეც კი ჩინებულად მესმოდა, თუ
რაზე ესაუბრებოდა ადამიანი უზენაესს.

და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: დიახ, ლოცვა
არის ვედრება ადამიანისა უზენაესისადმი, მისი
მადლის, ებრაელი ერის ისტორიაში მისი უზარმაზ-
არი როლის წარმოჩენა, მაგრამ უწინარესი უზენ-
აესის მიერ მისივე სახის დარად შექმნილი არსების
— ადამიანისა და უზენაესის ურთიერთობაა, იმ
საღამოს, მე მესმოდა თუ რაზე ესაუბრებოდა შა-
ლომ დავიდი უზენაესს.

და სხვას ვის, თუ არა იმას, ვინაც სული ჩაუდ-
გა, თავისივე სახის დარად განსახა, უნდა გაუზი-
აროს ადამიანმა თავისი ჭმუნვა, უნდა უთხრას ის,
რაც სულში ჩაბუდებია, მხოლოდ ადამიანს მისცა
უზენაესმა საშუალება მასთან ურთიერთობისა და
ამ ურთიერთობის ერთადერთი ფორმა გახლავთ
ლოცვა.

და მაინც: რა გავლენას ახდენს ლოცვა ადამია-
ნის სულზე? მოუსმინეთ შალომ დავიდის ლოცვას
(ქართველ ებრაელ სასულიერო მოღვაწეთა შორის
რამდენიმე მლოცველი ვიცი, მისებრი), გაუხსენით
მას გულისკარი და თქვენ იგრძნობთ, თუ როგორ
იწმინდება, მაღლდება სული, როგორ ისადგურებს
მასში სიმშვიდე. სულიერი სიმშვიდე კი სიცოცხ-
ლის ღერძია.

გურამ გათიაშვილი

** ჰაფტარა — მოვალეობისაგან განთავისუფლება, სანაცვლო, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძინა „დასრულების“, „დაბოლაების“ მნიშვნელობა. შ.დ.*

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

შიმონ წიწუაშვილი

ელულის თვე

გამჩენის წყალობით ჩვენ შევედით ელულის თვეში ამ წელს ეს შაბათი ელულის თვის პირველი შაბათია, წერს რაბი შიმონ ბარ იოხაი ზოჰარ ჰაკადოშში, ელულის თვე არის ადამიანისთვის მთლიანად განახლების თვე, ელულის თვეში ებრაელი სხვა თვეებისგან განსხვავებით განსაკუთრებულ საჩუქარს ღებულობს გამჩენისგან, სხვა თვეებში ჩვენ ვლოცულობთ გამჩ-ენთან ვეძებთ მას ჩვენ ცხოვრებაში, ვცდილობთ ჩვენი შეცდომები გამოვასწოროთ, რომლის გამოსწორებაც ადამიანს ძალიან უჭირს. მაგრამ ელულის თვე განსაკუთრებულია იმით, რომ ადამიანს არ სჭირდება გამჩ-ენის მოძებნა, რადგან ის მასთან ყველაზე ახლოს იმყოფება და შინაგანად აძლიერებს იმისათვის, რომ ადამიანს მიეცეს საშვალება გამოსწორდეს, გამჩ-ენის გზაზე დაბრუნდეს და თორის მცნებები შეასრულოს. ელულის თვე იწყება დამატებით ლოცვებით-- "სელიხოთის ლოცვებით" ზოგი გვიან ღამით, ზოგი დილით ადრე იწყებს სელიხოთის ლოცვებს, რატომ ვლოცულობთ სელიხოთს ელულის თვეში და არა სხვა დროს? ებრაელი ადამიანის გული ელულის თვეში უფრო მეტად გრძნობს გამჩ-ენის სიახლოვეს და სურვილს, რომ ისრაელი ერი დაბრუნდეს თეშუბაზე დაუბრუნდნენ გამჩ-ენს და გამჩ-ენიც მოუთმენლად ელის მათ მონანიებას და ლოცვას.

წერს რაბი შიმონ ბარ იოხაი ზოჰარის წიგნში და შემდგომ რაბი იოსეფ ხაიმსაც (ბენ იშ ხაი) მოჰყავს ეს სიტყვები: ადამიანს სხვა დღეებისგან განსხვავებით შაბათს ეძლევა ძალა იმისათვის, რომ მოთოკოს თავისი ცუდი საწყისი (იეცერ ჰარა) იმისათვის, რომ დაიცვას შაბათი და ემსახუროს გამჩ-ენს, აქედან გამომდინარე, თუ იგი იცავს შაბათს და ასრულებს გამჩ-ენის მცნებებს წერია, რომ მას ნებისმიერი შაბათს შესრულებული მიცვა ეთვლება როგორც ჩვეულებრივ დღეს შეესრულებინოს ათას ჯერ. განაგრძობს რაბი შიმონ ბარ იოხაი: წერია შირ ჰაშირიმში, "ანი ლედოდი ვე დოდი ლი" ე.ი. ,,მე მოყვასისთვის და მოყვასი ჩემთვის" ამ შემთხვევაში ადამიანის მოყვასი გამჩ-ენია, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ავხსნათ, გამჩ-ენი აკვირდება ელულის თვეში თუ როგორ იყენებს ადამიანი გამჩ-ენის სიახლოვეს და საშუალებას, რომ ადამიანი გამოსწორდეს და სწორ გზას დაადგეს, გამჩ-ენი არ უყურებს თუ როგორ იცხოვრა ამ წლის თერთმეტი თვე ადამიანმა, არამედ აფასებს მხოლოდ ელულის თვეს თუ როგორ მოვინდომებთ ჩვენ მასთან სიახლოვეს რამდენად დავფიქრდებით და ამ უძვირფასეს შანსს გამოვიყენებთ, რათა უფრო მეტი გავაკეთოთ გამჩ-ენის გასახარებლად, რამდენად უფრო გავამრავლებთ ლოცვებს, სწორედ ამიტომ ემატება ამ თვის ლოცვების განრიგს დამატებითი სელიხოთის ლოცვები რომელიც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავანაალიზოთ მთელი წელიწადი და გავიხსენოთ ჩვენი ყოველი ნაბიჯი და საქციელი, ამ თვის მადლით იწერება ადამიანი როშ-ჰაშანაში. ამიტომ გვასწავლის რაბი შიმონ ბარ იოხაი, რომ ყველა ებრაელმა ადამიანმა უნდა გამოიღვიძოს ამ თვეში უფრო მეტად სხვა თვეებისგან განსხვავებით, უფრო მეტი მიცვები შეასრულოს როგორც ჩვეულებრივ დღეებში, ასევე განსაკუთრებით შაბათის დაცვაში გაძლიერდეს და ასევე ძალიან საჭიროა თითოეული ებრაელი გაძლიერდეს და გაამრავლოს ლოცვა არა მხოლოდ თავის თავზე ოჯახზე და ახლობლებზე, არამედ მთლიანად ისრაელის ერზე თხოვოს გამჩ-ენს გვაპატიოს ცოდვა- ბრალი და დააბრუნოს გამჩ-ენმა ყველა ისრაელის შვილი თეშუბაზე.

გამჩ-ენმა მიიღოს ყველა ადამიანის ლოცვა, დაგვაბრუნოს თეშუბაზე დაგვწეროს ყველანაერ სიკეთეზე ჯანმრთელობაზე დღეგრძელობაზე მაშიახის მოსვლასა და ტაძრის აშენებაზე მალე ჩვენს დღეებში ამენ.

შაბათ შალომ!

ჩვენი მეგობარი — ადინ შტეინზალცი

83 წლის ასაკში გარდაიცვალა ადინ შტეინზალცი — თანამედროვეობის უდიდესი თეოლოგი, მოაზროვნე, რომელიც ზეგავლენას ახდენდა გარემომცველ სამყაროზე, პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდა ებრაული ინტელექტუალური ელიტა, ევროპის სახელმწიფოთა ინტელექტუალები, პოლიტიკური ლიდერები. ამიტომ იყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას იმის გრაფიკიც კი ჰქონდა შედგენილი, შტაინზალცი რომელ თვეში, თუ რომელ სახელმწიფოში წაიკითხავდა ლექციას.

ადინ შტეინზალცმა თავისი სიცოცხლის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა იუდაიკაში. მის ნაღვაწთა ნუსხის აქ მოტანა, შორს წაგვიყვანს — ერთი ნაღვაწის გახსენებაც კი ცხადყოფს, თუ რა მასშტაბის პიროვნება გახლდათ. — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ბაბილონის თალმუდის მრავალტომეულის რუსული თარგმანი სწორედ ადინ შტეინზალცის რედაქტირებითა და კომენტარებით გამოსცა. ბედნიერად ვთვლი თავს იმის გამო, რომ ჩემს ბიბლიოთეკაში არის მის მიერ ნაჩუქარი ეს გამოცემა. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სტრიქონები, რომელიც ადინ შტეინზალცმა ჩემი რომანის — „მეათე კაცი" თელ-ავივის გამოცემასთან დაკავშირებით დაწერა.

იგი ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში. პირველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხა ლექცია, მეორედ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში.

ადინ შტეინზალცი დიდ პატივს მიაგებდა იუდაიზმის მოღვაწეთა დიდ სახელებს. წინა საუკუნის დამლევს მან გადაწყვიტა მოევლო უკრაინის ებრაული ისტორიული დასახლებები, იქნებოდა ეს უმანი, თუ სხვა — ის დაბა-ქალაქები, რომლებშიც იშვნენ და მოღვაწეობდნენ დიდი სასულიერო პირები. ამ მოგზაურობისას ჯემალ აჯიაშვილი და მე გვიახლა. თითქმის მთელი კვირა ვიყავით ერთად. ის დღეები დაუვიწყარია, დაბადების 70 წლისთავზე კი იერუსალიმში ჩემს მიერ მირთმეული ფიროსმანის დიდებული ალბომი დიდი სიხარულით მიიღო, რადგან ამ მხატვრის შესწავლა ეწადა.

გურამ გათიაშვილი

(მე-3 გვერდიდან)

მფლობელია.

— მზარდი ურბანიზაცია მოგვიწოდებს შევიმუშაოთ უფრო და უფრო მეტად გონივრული საშუალებები ფართო მოხმარების კულტურების შესაქმნელად და მოსახლეობისათვის მისაწოდებლად. VF სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს და საშუალებას იძლევა მოსავალი იმ შემთხვევაშიც კი მოიყვანოთ, თუ დასათესი მიწა არა გაქვთ. უბრალოდ აყენებთ ერთ კონტეინერს და ახალი პროდუქტი თქვენს რესტორანში, სუპერმარკეტსა, თუ ოჯახში მიგაქვთ — გვიხსნის მიხ.მირილაშვილი

მართლაცდა, VF შეუძლია 200 სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოება — მოსავლიანობის ზრდა სუფთა ჰაერის ჩამოყალიბების პროცესი, ნარჩენების შემცირება — შეუძლია შექმნას მეურნეობა ქიმიკატების გარეშე და საქალაქო ეკოსისტემა.

და ბოლოს, მიხეილი ასევე დაკავშირებულია ისრაელის NanoSano-ს კომპანიასთან, რომელმაც შეიმუშავა უნიკალური ანტიმიკრობული ნანოტექნოლოგია და ძალუძს გაანეიტრალოს უვარგისი — დამაზიანებელი მიკრობები თვით კორონავირუსის ჩათვლით. სადღეისოდ იგი მის მასალებს იყენებს ნიღბების, ხელთათმანების, საღებავების, კოსმეტიკის, ტანსაცმლის შესაქმნელად. ყველაფერი ეს კი საჭიროა სიცოცხლის გადასარჩენად.

3. კაცობრიობის მხარდაჭერის ძლიერი და ურყევი ნება

სუფთა სასმელი წყლის კარსმომდგარი გლობალური კრიზისის გათვალისწინებით, Watergen-ი უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირო მოვლენაა. ამას გარდა, მისი უნიკალური ტექნოლოგიური დიზაინი და ელექტრონული ეფექტურობა, მას გლობალურ და მასშტაბურ მოვლენად აქცევს. ეს სიახლე ადამიანებს საშუალებას აძლევს ჰაერიდან ადვილად შექმნან, სიცოცხლისათვის აუცილებელი სუფთა და ჯანსაღი სასმელი წყალი. და ყველაფერი ამის ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობა გახლავთ ის, რომ Watergen-ის პროდუქტი ხელმისაწვდომი და იოლად გამოსაყენებელია — მას არ სჭირდება არა-რა დამატებითი ინფრასტრუქტურა, ან არხები. თვითოეულ აპარატს — მანქანას ძალუძს ადამიანები დამოუკიდებლად თავად უზრუნველყოს განუსაზღვრელი სუფთა სასმელი წყლით. და ყველაფერი ეს კეთდება ძვირფასი ინფრასტრუქტურისა და ჯანმრთელობისათვის მავნე პლასმასების გარეშე.

თავისი რევოლუციური უპირატესობებიდან გამომდინარე, Watergen-ს დიდი მომავალი აქვს. იგი მთელ მსოფლიოში მუშაობს. მისი პორტატული მოწყობილობა Genny ბაზარზე გასაყიდად წლის ბოლოს გამოვა.

— Genny შეგიძლით დაამონტაჟოთ ნებისმიერ ადგილას, იქნება ეს თქვენს სახლში, თუ ოფისში და მაშინ მიიღოთ სუფთა სასმელი წყალი, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევთ. ეს ჩვენი მომავალია და ეს მომავალი ცხრა მთას იქით როდია! — გვარწმუნებს მიხ. მირილაშვილი.

ისეთი მხურვალე ჰუმანისტი, როგორიც მიხეილ მირილაშვილია, კაცობრიობისადმი სამსახურის უამრავ საშუალებას ხედავს. მისი მზადყოფნა რეალურ სამყაროში წამოჭრილი უამრავი პრობლემის გადასაჭრელად მიეშველოს ადამიანებს, ბიზნესის საშუალებით იბრძოლოს რათა უმჯობესი გახადოს გარემომცველი სამყარო, უშვიათი თვისებაა.

ეს მხოლოდ დასაწყისია. უახლოეს ხანს ჩვენ წარმოვადგენთ ახალ, დამატებით ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს, რომლებიც ჩვენი პლანეტის მომავლისა და კაცობრიობის სამსახურში ჩადგებიან.

— ეს მართლაც, რომ დასაწყისია, წინ გველოდება დიდი სიურპრიზები. ელოდეთ! — გვაუწყებს მიხეილ მირილაშვილი.

Entrepreneur

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ვალმოხდილი

მაისე ბალუაშვილის გარდაცვალების გამო

საქართველოში დღესდღეობით მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მცირერიცხოვან დიასპორას ახლახან ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გამოაკლდა - ქუთაისის საპატიო მოქალაქე, საზოგადოება „ბაღის კიდისა“ და „ქუთაისელის“ აქტიური წევრი, ქუთაისელ ებრაელთა თავკაცი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, პიროვნული ღირსებებით გამორჩეული კაცი და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართული პიროვნება მაისე ბალუაშვილი.

ბატონი მაისე ის კაცი იყო, რომელიც ერთგულად და უხმაუროდ განაგრძო ქართველ ებრაელ მოღვაწეთა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას მათ მეორე სამშობლოდ ქცეული ჩვენი ქვეყნის უღალატოდ მსახურებისას. ისტორიულ სამშობლოში ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილის გადამკვიდრების მიუხედავად, იგი მისი საყვარელი ქალაქიდან არსად წასულა და ოჯახთან ერთად აქ დარჩენილი, აქტიურად განაგრძობდა იმ დიდი მოვალეობის აღსრულებას, რაც ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის მყარად დამკვიდრებული მეგობრული თანაცხოვრების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებასა და შემდგომ გაგრძელებას ისახავდა მიზნად.

ასე მოგვევლინა ბატონი მაისე ქუთაისში ამ დიდი საქმის აქტიურად წარმამართველ იმ პიროვნებად, რომელიც დღენიადაგ უწევდა მასპინძლობას როგორც ისრაელიდან, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან ჩვენს ქალაქში საქმიანი ვიზიტით თუ ტურისტად ჩამოსულ ებრაელებს. იგი არა მარტო თავისი აქტიური ძალისხმევით განახლებული სინაგოგების კარებს უღებდა ამ ადამიანებს, არამედ ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებაც აწვდიდა მნიშვნელოვან ცნობებს.

სწორედ ამ დიდი საქმიანობის გამო შეიყვარეს ბატონი მაისე მისმა ქართველმა მეგობრებმა, რომელთაც ორი ერის სამსახურში უხმაუროდ მდგარი ეს უპრეტენზიო პიროვნება ღირსეულად გააცილეს მისი ცხოვრების უკანასკნელ გზაზე და გულწრფელი ცრემლებით გაჯერებული სიტყვებით მიაბარეს მშობლიური ქუთაისის მიწას.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

„ისრაელი — საერთაშორისო უშიშროების სისტემაში“

საქართველოს ებრაული თემის წარმომადგენელმა ლერი თენგიზის ძე სარაიდაროვმა 21 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ისრაელი — საერთაშორისო უშიშროების სისტემაში“ და მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის წოდება.

ახლობლები, ნაცნობ-მეგობრებისა და კოლეგების ფართო წრე ულოცავენ ლერი სარაიდაროვს ამ ღირსშესანიშნავ ფაქტს და უსურვებენ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს პროფესიულ სარბიელსა და პირად ცხოვრებაში!

დერეხ შალომ, ელიაჰუ-ხაიმ!

ვიდრე პატარა იყო, ალერსით იკუნას ეძახდნენ, თორემ სახელიც დიდებული ჰქვია ელიაჰუ-ხაიმი და გვარი ხომ ერთ-ერთი საუკეთესო აქვს — აჯიაშვილი. აი, 20 აგვისტოს ბეით ქნესეთ „ბეით რახელში“ კურთხევის შემდეგ, ელიაჰუ-ხაიმი პატარად აღარ ითვლება — ამ დღეს გუშინ იგი თბილისის ებრაული თემის ერთ-ერთი წევრი გახდა, რადგან 13 წელი შეუსრულდა და ბარ-მიცვის ცერემონიალიც ჩინებულად ჩატარდა.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ იკუნა — ელიაჰუ ხაიმი თბილისის ებრაული თემის საუკეთესო წევრი იქნება, ხოლო თემს მისი შემომატება კარგად დაებედება და იგი თავისი ცხოვრების წესით, ზნეობრიობით კიდევ უფრო მეტ ღირსებას შემატებს ქვეყნიერებიდან ადრე წასული მამის — მიშიკო აჯიაშვილის ხსოვნას.

ცხოვრების გზა დაგელოცოს, ელიაჰუ ხაიმ!

სავაჭრო საქონლის არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მსოფლიო-ეკონომიკურ ბრუნვაში. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ბაზრის მოედნის ირგვლივ სახელოსნოების, სავაჭროებისა და სამიკიტნოების რიგები იყო გაჭიმული. სოფელში პირველად ჩამოსულს აუცილებლად თვალში ეცემოდა სავაჭრო ფარდულების სიმრავლე.

საგლეხო რეფორმის გატარებას გლეხობის ძირითადი მასის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. ამ მიზეზით და იმის გამო, რომ სასაქონლო წარმოების ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, გაიზარდა ფაბრიკულ საქონელზე მოთხოვნილება, რამაც, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად, ხელსაყრელი პირობები შექმნა აქ ვაჭრობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტი იოსებ ქუთათელაძე მარსელიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში (1910 წ.) წერდა: გურია-სამეგრელოს მივარდნილი სოფლებისა კი არა, საქართველოს მანჩესტერ-ლიონის — ხონის არსებობის შესახებაც არაფერი იცის საფრანგეთისა და იტალიის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებამო („მოსავალი“, 7, 1910, გვ. 9-10; ვიმოწმებთ პ. ვაჭრიძის წიგნიდან — „ხონის ისტორიიდან“, თბ., 1998, გვ. 113). თუმცა ფაქტი ფაქტად რჩებოდა: სამეგრელოსა და იმერეთის (ხონის) ვაჭრები რუსეთისა და ევროპის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში სარეალიზაციოდ გაჰქონდათ აბრეშუმის პარკი, სიმინდი, კვერცხი და სხვ., ხოლო იქიდან შემოტანილი საქონლის რეალიზაციას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში (ფოთი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, სენაკი, ლეძაძამე, მარტვილი, ბანძა, სუჯუნა, ორპირი, სამტრედია, ხონი, ლაილაში, ქუთაისი...) ახდენდნენ.

XIX ს-ის მიწურულიდან ბანძაში ჩამოსახლებას იწყებენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. ასე, მაგალითად, ნაჯახუდან ჩამოსახლებულმა იოსებ ჯოღოს ძე დანელიამ (დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ სერგი დანელიას მამამ) საორინჯოს განაპირა ადგილას შეიძინა მიწის ნაკვეთი, ააგო ორსართულიანი სახლი, დაიწყო უნაგირების დამზადება და მეუნაგირეობით ოჯახის რჩენა. მის გვერდით გასული საუკუნის 10-იან წლებში ორსართულიანი, აგურის მოზრდილი შენობა დადგა ლევახანედან ჩამოსახლებულმა შევასტი მათეს ძე ვახანიამ. შენობის პირველ სართულზე გახსნილი ჰქონია სავაჭრო დუქანი, ხოლო მოგვიანებით, XX ს-ის II ნახევარში - ავეჯისა და ავტონაწილების მაღაზია (აქვე განთავსებული ყოფილა რაიკავშირის საწყობი). აქვე 1913 წელს დუტუ შანგუამ ააშენა აგურის ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულზეც სავაჭრო დუქანი ჰქონია გახსნილი. 1913 წელსვე ურიაკარის ცენტრში, აგურისავე, ორსართულიანი, ლამაზი და საკმაოდ დიდი ზომის სახლი ააგო ებრაელმა დიდვაჭარმა ელო აჯიაშვილმა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახლი ჩამოურთმევიათ და სასოფლო საბჭოს აღმასკომისთვის გადაუციათ. „მე მახსოვს ელო, — იგონებდა პროფესორი ბონდო კარტოზია, — ღრმად მოხუცი, მიხრწნილი, ღარიბ-ღატაკი, „ჭითა აბრამის“ სახლის წინ მზესუმზირას რომ ყიდდა და შორიდან შეჰყურებდა თავისი ფულით აგებულ შენობას, რომელშიც საქმიანობდნენ აღმასკომის თანამშრომლები — დათიკო გიგაშვილი, ილაკრია პუხა, მერე ივანე კეკელია, საშა წულეისკირი, ქსენია პატარაია და სხვები“. სამწუხაროდ, ეს ისტორიული შენობა 2003 წელს დაანგრიეს (იხ. ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007, გვ. 38).

ბანძაში სავაჭრო ცხოვრების ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პროფ. ბონდო კარტოზია, თავის მოგონებებში. მოგვყავს ამონარიდი: „მამაჩემის გარდაცვალების წლებს დაემთხვა ვაჭრობის გაუქმება საბჭოთა კავშირში. იგი თავიდანვე იყო განზრახული (1917 წ., 1921 წლებიდან), მაგრამ ქვეყანა, რუსეთი, უკრაინა და სხვა განაპირა რესპუბლიკები შიმშილობამ მოიცვა, ჩაკვდა აღებ-მიცემობა, ათასობით ადამიანი კვდებოდა შიმშილისაგან. ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ამოძრავება და ლენინი იძულებული გახდა, დაეშვა კერძო ვაჭრობის თავისუფლება. ამას ეწოდებოდა ნეპი („ნოვაია ეკონომიჩესკაია პოლიტიკა“). ქვეყანამ ცოტა სული მოითქვა. ისე, რომ ბანძაში ებრაელებს და ჩვენს ხალხსაც, მიეცა უფლება, ჰქონოდათ დუქნები, მოეტანათ საქონელი ქუთაისიდან, ხონიდან, თბილისიდან, რუსეთიდანაც და გაეჩაღებინათ აღებ-მიცემობა. ბანძის ცენტრში, ორივე მხარეზე ჩამწკრივებული იყო დუქნები. რა გინდოდა, რომ აქ არ ეშოვნა ადამიანს. ვაჭრობა ყოველდღე იყო, ცხვებოდა პური, მუშაობდა სასადილოები, კვირა დღეს კი განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო. ამას ხელს უწყობდა ბანძის მდებარეობა. იგი გარშემო არსებული სოფლების (ჯოლევი, აბედათი, ნოქალაქევი, ლევახანე, ვედიდკარი, ზანათი, მუხურჩა, ორქა, ონოღია, სამიქაო, მაიდანი, ნაგებერაო, ნაჯახაო, ლეხაინდრაო, ნაგვაზაო, სერგიეთი და სხვ.) ცენტრშია მოქცეული. ამ სოფლებში ბაზარი არცერთში არ არის. ვაჭრობის გაცხოველებას ხელს უწყობდა ებრაელების არსებობა ბანძაში. ბანძის ცენტრს ურიაკარს ეძახდნენ...

ნეპის პერიოდი მიმდინარეობდა 1921-1927 წლებში. ვაჭრობა სასტიკად აიკრძალა. იგი კოოპერაციის ხელში გადავიდა. ხალხს მაინც უჭირდა... ვაჭრებს ჩამოართვეს დუქნები, ჩემს ბიძებსაც - კოწიას და ვანოს. მათი დუქნები ჩვენს გვერდიგვერდ იყო. ჩვენ დაგვიტოვეს, რადგან დედაჩემი ქვრივი იყო. ვაჭრობა კი არ გაუგრძელებია დედაჩემს, უბრალოდ დუქანი-ნაგებობა არ ჩამოართვეს. მას ვაქირავებდით. იქ დიდხანს მუშაობდა ზეინკალი აპოლონ ფანცულაია. ჯერ მთავრობას ჰქონდა დაქირავებული. მახსოვს, ბარდღა დიხამინჯია იყო გამყიდველი. ბოლოს დუქანი ა. ფანცულაიას მივყიდეთ. ახლა იქ, იმ ადგილზე სასადილოს შენობაა. უკან საბოსტნე მიწაც გვქონდა. თავდაპირველად, ჯოლევიდან რომ გადმოსახლებულან ჩემი მშობლები, მარტო ჩემი უფროსი და ჰყოლიათ. დუქანი ორი თვალი ყოფილა: წინ — სავაჭროდ, უკან — საცხოვრებლად. მერე შეუძენიათ სამოსახლო. მიწა უყიდიათ ოქროს ფულით გაბუნიებისაგან იქ, სადაც ახლა დგას ჩემი სახლი...“

დუქანი ჩამოართვეს აგრეთვე ეფრემა ურიას, რომელიც იდგა ამ ჟამინდელი ფოსტის ადგილას. დუქანში კომუნისტებმა გახსნეს ჯერ პურის საცხობი, ხოლო შემდეგ - საწყობი, სადაც გამგედ მუშაობდა გრიგოლ (უფი) პატარაია.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003